დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კრედიტების აღიარებისა და გაანგარიშების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) კრედიტების აღიარებისა და გაანგარიშების წესი არეგულირებს უნივერსიტეტში შიდა მობილობის/მობილობის ფარგლებში, განმეორებით ჩარიცხული, სტატუსაღდგენილი, ლიცენზირებული სასწავლებლების, უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების მიერ დაგროვებული კრედიტების აღიარებას და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემისგან განსხვავებული სისტემის ფარგლებში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარებასა და გაანგარიშებას.

მუხლი 2. კრედიტების აღიარების/გაანგარიშების პრინციპები

1. უნივერსიტეტში შიდა მობილობის/მობილობის ფარგლებში გადმოსული/სტატუსაღდგენილი/ლიცენზირებული სასწავლებლების კრედიტების/უცხოეთში სწავლის პერიოდში/გაცვლითი პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარება და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემისგან განსხვავებული სისტემის ფარგლებში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარების / გაანგარიშების პრინციპები:
ა) ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობა და/ან თავსებადობა;
ბ) სტუდენტის მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა და/ან თავსებადობა;
გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული/დაგროვილი კრედიტები.

მუხლი 3. კრედიტების აღიარებასთან/გაანგარიშებასთან დაკავშირებული სტუდენტის/კურსდამთავრებულის უფლებები და ვალდებულებები

1. სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს საქართველოს კანონმდებლობით აღიარებადი განათლების ფარგლებში მიღებული/დაგროვილი კრედიტების აღიარება/გაანგარიშება.
2. სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კრედიტების აღიარებისა და გაანგარიშების წესის შესაბამისად.
3. უცხოეთში გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი ვალდებულია უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ განცხადებით მიმართოს შესაბამის სამსახურებს კრედიტების აღიარების მოთხოვნით.

მუხლი 4. კრედიტების აღიარების/გაანგარიშების უფლებამოსილება

1. კრედიტების აღიარებასა და გაანგარიშებას ახორციელებს კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია.
2. თითოეულ ფაკულტეტზე, დეკანის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით

იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი/კოორდინატორ(ებ)ი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და დარგის სპეციალისტი (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი). საჭიროების შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობისა, კომისიას შესაძლებელია დაემატოს სხვა პერსონალის შემადგენლობა.
3. კრედიტების აღიარების კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.
4. კომისიის სხდომას წარმართავს თავმჯდომარე.
5. კომისიის სხდომის დღის წესრიგს და ოქმს ადგენს კომისიის მდივანი. სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
6. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ და უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
7. კრედიტების აღიარების/გაანგარიშების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უმრავლესობით, რომელიც აისახება კომისიის დასკვნაში (ფორმა N1), დასკვნას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი. კომისიის დასკვნა ინახება სტუდენტის პირად საქმეში.
8. კომისიის საქმიანობის საორგანიზაციო საკითხებზე (კრედიტების აღიარება/გაანგარიშებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მოძიება, სხდომის ოქმი, დასკვნის მომზადება) პასუხისმგებელია კომისიის მდივანი.

მუხლი 5. კრედიტების აღიარებისა და გაანგარიშების პროცედურა

1. პირი კრედიტების აღიარების ან კრედიტების გაანგარიშების მოთხოვნის მიზნით უნივერსიტეტს მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი დოკუმენტაცია.
2. კრედიტების/მიღწეული სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უცხოეთში გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე.
3. უცხოეთში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტებში მითითებული უნდა იყოს პირის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების სახელწოდება, კრედიტების/საათების რაოდენობა და მიღებული შეფასება.
4. წარმოდგენილ დოკუმენტებს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის აღიარების საფაკულტეტო კომისია.
5. კომისია წარდგენილი დოკუმენტების/შიდა მობილობის ელექტრონულ პორტალზე არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ამზადებს დასკვნას კრედიტების აღიარების და/ან ცნობას კრედიტების გაანგარიშების შესახებ.
6. მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტი ეცნობა კრედიტების აღიარების შესახებ დასკვნას და, თანხმობის შემთხვევაში, ხელს აწერს შეთანხმებას საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე.
7. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია უფლებამოსილია, კრედიტების აღიარების მიზნით საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მოსთხოვოს მის მიერ გავლილი სასწავლო კურსის სილაბუსები/ანოტაციები/აღწერილობა.
8. უცხოეთის უსდ-ში დაგროვებული კრედიტების აღიარება ხდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების ფარგლებში დაგროვებული კრედიტების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენისა და კრედიტების აღიარების/გაანგარიშების თაობაზე უნივერსიტეტის წარდგინების საფუძველზე.
9. უცხოეთის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის მიერ უცხოეთის უსდ–ში გასავლელი სასწავლო კურსები წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. დგინდება გასავლელი სასწავლო კურსების შესაბამისობა უნივერსიტეტში მოქმედ სასწავლო კურსებთან, რის საფუძველზეც დგება სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება.
10. უცხოეთის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულებას ხელმოწერით ადასტურებს სტუდენტი და უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე პირი/პირები. სასწავლო ხელშეკრულება ექვემდებარება ცვლილებას მობილობის პერიოდში, რაც აგრეთვე დასტურდება სტუდენტისა და უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების ხელმოწერით.
11. აღიარების პროცედურა უნდა განხორციელდეს კანონმდებლობითა და შიდასამართლებრივი რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში. გამონაკლის შემთხვევებში გონივრული ვადების გათვალისწინებით შესაძლებელია კრედიტების აღიარების/გაანგარიშების ვადის გახანგრძლივება.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

1. კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან შედარებისა და თავსებადობის დადგენის გზით სწავლის შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე.
2. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის შინაარსი, შედეგები და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო კურსის შინაარსს, შედეგებს და კრედიტების რაოდენობას, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარება ხდება კრედიტების რაოდენობის უცვლელად.
3. სასწავლო კურსის თემატიკის შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებსა და კრედიტების რაოდენობაში არსებული განსხვავების მიუხედავად.
4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება უნივერსიტეტის შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, მაშინ კომისია აღიარებს კრედიტების იმ რაოდენობას, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სასწავლო კურსისთვის.
5. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა უნივერსიტეტის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობაზე ნაკლებია, სასწავლო კურსის აღიარების საკითხს წყვეტს კომისია სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე.
6. შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე და სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია რამდენიმე სასწავლო კურსის დაჯგუფება და უნივერსიტეტის ერთ ან რამდენიმე სასწავლო კურსად აღიარება.
7. უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენისას აღიარებადია სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კრედიტები (თავისუფალ კრედიტად შეიძლება აღიარებულ იქნას ის სასწავლო კურსი, რომლის თავსებადი სასწავლო კურსი გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით). სასწავლო კურსის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, ასევე დასაშვებია იმ სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ით.

8. თავისუფალი კრედიტების ზემოთ აღიარების გარეშე დარჩენილი კრედიტები შესაძლოა აისახოს დიპლომის დანართში.
9. თუ მიმღები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს მეორე უცხო ენას, სტუდენტის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია შიდა გამოცდით განისაზღვროს ენის ცოდნის დონე, რის საფუძველზეც სტუდენტი სწავლას გააგრძელებს შესაბამისი დონიდან.
10. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუ თავისუფალი კრედიტების ნაწილში აღიარებადი კრედიტები აჭარბებს საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების ოდენობას, სტუდენტის ელექტრონულ ბაზაში შესატანად კომისია ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასებები აქვს მიღებული. სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია, სტუდენტის ელექტრონულ ბაზაში შეტანილ იქნას სტუდენტის მიერ გავლილი სხვა სასწავლო კურსი/კურსები. დანარჩენი კურსები უნდა აისახოს დიპლომის დანართის დამატებითი ინფორმაციის ნაწილში.
11. თუ უცხოეთის უსდ იყენებს სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემისაგან (ECTS) განსხვავებულ სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს უცხოეთის უსდ–ს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება ამ სისტემის შესაბამისობა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან.
12. თუ აღიარებული თავისუფალი კრედიტები შეესაბამება უნივერსიტეტის რომელიმე დამატებით (ე.წ. minor) საგანმანათლებლო პროგრამას, სტუდენტს უნდა გაეწიოს რეკომენდაცია ამის თაობაზე.
13. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აღიაროს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
14. მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით, კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია ამზადებს დასკვნას კრედიტების აღიარების შესაძლებლობის შესახებ.
15. კომისიის მიერ აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
16. კრედიტების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
17. აღდგენილი სტუდენტებისა და იმ პერიოდის კურსდამთავრებულთათვის, როდესაც სასწავლო კურსებისათვის არ ხდებოდა კრედიტების მინიჭება, მათ მიერ გავლილი სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭება განხორციელდება ამ წესის მიხედვით.

მუხლი 7. ლიცენზირებული სასწავლებლების სტუდენტების კრედიტების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენა და აღიარება

1. ლიცენზირებული სასწავლებლების სტუდენტების კრედიტების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენა და აღიარება ხდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მომართვის საფუძველზე. აღნიშნულ შემთხვევაში აღიარებისა და კრედიტების გაანგარიშების წინაპირობა შესაძლებელია გახდეს გამოცდა. გამოცდასთან დაკავშირებით სსიპ - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან კომუნიკაციასა და გამოცდის ორგანიზებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ფაკულტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად.

2. ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარება (შემდგომში – უმაღლესი განათლების აღიარება) გულისხმობს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ, რომლის სწავლის პერიოდი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ სრულად/ნაწილობრივ, მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენას სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

3. უმაღლესი განათლების აღიარების მიზნით, პირი მიმართავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განცხადებით. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასკვნა, რომლითაც დგინდება ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ სახელმწიფოს მხრიდან არაღიარებული პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან (უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით).

ბ) ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დოკუმენტი/ცნობა ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლი ამ დაწესებულებაში პირის ჩარიცხვის, ასევე ამორიცხვის ან სწავლის დასრულების თაობაზე და სწავლის პერიოდში გავლილი საგნების ნუსხა, მათი კრედიტების ან/და შეფასებების მითითებით, რომლის საფუძველზეც განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ სახელმწიფოს მხრიდან არაღიარებული პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა.

4. უმაღლესი განათლების აღიარების წინაპირობაა პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დაინტერესებული პირის განაცხადის წარმოებაში მიღების შემდეგ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის განმცხადებელს სურს უმაღლესი განათლების აღიარება, მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებული პირის განათლების აღიარების საკითხთან დაკავშირებით.

6. სტუდენტის მიმართვის საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გამოცდის ჩატარებას, რომლის მიზანია დადგინდეს, ფლობს თუ არა პირი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით გათვალისწინებულ კომპეტენციას.

7. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს გამოცდის მიმდინარეობის მონიტორინგი. უნივერსიტეტიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას.

8. განათლების აღიარების მსურველის გამოცდის ჩატარების წესი და გამოცდის თემატიკა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

9. დაინტერესებულ მხარეს გამოცდის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ითხოვს გამოცდის უფრო მოკლე

ვადაში ჩატარებას. გამოცდის ჩატარების შესახებ ასევე წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული ცენტრი.
10. განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებით განისაზღვრება სტუდენტის მიერ მიღებული განათლების რა ნაწილია მიჩნეული აღიარებულად.
11. კრედიტების აღიარების მიზნით დგინდება პირის მიერ ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების თავსებადობა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან;
12. გამოცდაზე/გამოცდებზე დადებითი შედეგის მიღწევის შემთხვევაში (50%-ს +1%) უნივერსიტეტი ადგენს თავსებადობას, რაზეც დგება შესაბამისი დასკვნა, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
13. კომისიის დასკვნა გაიცემა დაინტერესებულ პირზე.
14. თუ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აღიარებს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის უმაღლეს განათლებას, აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს შესაბამისი სემესტრიდან.

მუხლი 8. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნივერსიტეტში ჩარიცხული პირი უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს წერილობითი განცხადებით ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით;
2. კრედიტების აღიარების მიზნით უნივერსიტეტი ადგენს პირის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან;
3. სტუდენტი, რომელმაც განცხადებით მიმართა უნივერსიტეტს ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით, ვალდებულია, წარმოადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი- დიპლომი, დიპლომის დანართი ან სათანადოდ დამოწმებული ნიშნების ფურცელი და გავლილი სასწავლო კურსის/კურსების შინაარსი (სილაბუსი);
4. წარმოდგენილ დიპლომის დანართში ან სათანადო წესით დამოწმებულ ნიშნების ფურცელში/სასწავლო ბარათში უნდა იყოს მითითებული კონკრეტული უცხოური ენა, რომელიც გავლილი აქვს სტუდენტს;
5. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები.
6. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ამ კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
7. კომისიის დასკვნას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. სხდომის მდივანს ევალება სხდომის ოქმის წარმოება. კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უმრავლესობით.
8. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება კომისიის მდივანს;
9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ წესით დადგენილი პირობების გათვალისწინებით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და

დაგროვების სისტემის შესაბამისად.

მუხლი 9. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

1. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე (აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე) იღებს უნივერსიტეტი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებისა და ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 10. ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემისგან განსხვავებული სისტემის ფარგლებში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების გაანგარიშება

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად.

2. შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით:

ფრიადი (5)	91 ქულა	A
კარგი (4)	84 ქულა	B
დამაკმაყოფილებელი (3)	69 ქულა	D

3. ე.წ. არადიფერენცირებული შეფასების - “ჩათვლის” აღიარება ხდება შემდეგნაირად: “ჩათვლას” ენიჭება პირობითი ქულა, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულს (მთელ რიცხვამდე დამრგვალებულს). უცხოეთში გავლილი სასწავლო კურსის შემთხვევაში პირობითი ქულა გამოითვლება უცხოეთში გავლილი სასწავლო კურსების ქულების საშუალო არითმეტიკულით.

4. თუ უცხოეთის უსდ–ს არ გააჩნია სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების სისტემა, მაშინ აღნიშნული კურსებისთვის ხდება პირობითი კრედიტების მინიჭება შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით კომისიის მიერ დადგენილ კოეფიციენტზე: 1,5–ზე ან სხვა ციფრზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხოლო საათების მიღებული რაოდენობა იყოფა 25–ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტები დამრგვალდება მთელ რიცხვამდე.

5. თუ უცხოეთის უსდ–ში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს არა ქულებს, არამედ შეფასების აღმნიშვნელ ლათინურ ასოებს (A, B, C, D, E, A+, A, A- და სხვ.) ან სიტყვიერ განსაზღვრებას (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, საკმარისი) და არ არსებობს ამ სისტემის განმარტების ოფიციალური დოკუმენტი, მოცემული სისტემის გადაყვანა უნივერსიტეტში მოქმედ სისტემაზე მოხდეს შემდეგი წესით:

A +	ფრიადი	100
A	ფრიადი	
A -	ფრიადი	
B +	ძალიან კარგი	90
B	ძალიან კარგი	
B -	ძალიან კარგი	
C +	კარგი	80
C	კარგი	
C -	კარგი	
D +	დამაკმაყოფილებელი	70
D	დამაკმაყოფილებელი	
D -	დამაკმაყოფილებელი	
E +	საკმარისი	60
E	საკმარისი	
E -	საკმარისი	

6. თუ უცხოეთის უსდ არ იყენებს შეფასების 100 ქულიან/პროცენტიან და აღნიშნული წესის მე-5 პუნქტში მითითებულ შეფასების სისტემებს, კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია უფლებამოსილია, დაადგინოს ამ სისტემის შესაბამისობა პირველ რიგში ECTS სისტემასთან, რაც ხშირ შემთხვევაში მითითებულია უნივერსიტეტსა და შესაბამის უცხოეთის უსდ-ს შორის დადებული ხელშეკრულებაში, ხოლო შემდგომ მე-5 პუნქტის შესაბამისად მოახდინოს უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემასთან შესაბამისობის დადგენა. უნივერსიტეტსა და შესაბამის

უცხოეთის უსდ-ს შორის დადებული ხელშეკრულების ასლი ინახება შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

მუხლი 11. სემესტრის განსაზღვრა აღიარებული კრედიტების მიხედვით

1. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, გარდა დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისა, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია, სწავლა განაგრძოს შესაბამისი სემესტრიდან შემდეგი სქემის მიხედვით:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
0 - 19	I სემესტრი
20 - 49	II სემესტრი
50 - 79	III სემესტრი
80 – 109	IV სემესტრი
110 – 139	V სემესტრი
140 – 169	VI სემესტრი
170 - 199	VII სემესტრი
200 - 240	VIII სემესტრი

2. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია, სწავლა განაგრძოს შესაბამისი სემესტრიდან შემდეგი სქემის მიხედვით:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
0 - 19	I სემესტრი
20 - 49	II სემესტრი
50 - 79	III სემესტრი
80 – 109	IV სემესტრი
110 – 139	V სემესტრი
140 – 169	VI სემესტრი
170 - 199	VII სემესტრი

200 - 229	VIII სემესტრი
230 - 259	IX სემესტრი
260 - 289	X სემესტრი
290 - 319	XI სემესტრი
320 - 360	XII სემესტრი

3. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, დიპლომირებული სტომატოლოგის/ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია, სწავლა განაგრძოს შესაბამისი სემესტრიდან შემდეგი სქემის მიხედვით:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
0 - 19	I სემესტრი
20 - 49	II სემესტრი
50 - 79	III სემესტრი
80 – 109	IV სემესტრი
110 – 139	V სემესტრი
140 – 169	VI სემესტრი
170 - 199	VII სემესტრი
200 - 229	VIII სემესტრი
230 - 259	IX სემესტრი
260 - 300	X სემესტრი

მუხლი 12. აპელაცია

სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კრედიტების აღიარების შესაბამის საფაკულტეტო კომისიასთან ერთად.

ფორმა 1

კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის დასკვნა

განმცხადებლის სახელი და გვარი: _____
კრედიტების მიმნიჭებელი (სწავლების განმახორციელებელი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: _____

პროგრამა (სპეციალობა): _____
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტი, რომელიც ახდენს კრედიტების აღიარებას:
_____
თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამები): _____

#	საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგან-მანათლებლო დაწესებულებაში შესწავლილი, პროგრამულად თავსებადი სასწავლო კურსის ზუსტი დასახელება	კრედიტი/ საკონტაქტო საათების რაოდენობა	მიღებული შეფასება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის კურიკულუმით გათვალის-წინებული, პროგრამულად თავსებადი სასწავლო კურსის ზუსტი დასახელება	აღიარებული კრედიტები	აღიარებული შეფასება
1.						
2.						
3.						
4.						
5.						
6.						
7.						
8.						
9.						
10.						
11.						
12.						

აღიარებულია _____ კრედიტი, სწავლის გაგრძელება დასაშვებია _____ ძირითად პროგრამაზე _____ დამატებით პროგრამაზე _____სემესტრიდან. საგანამანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან, კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების წინაპირობებიდან და მათი გამოცხადების გრაფიკიდა, სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, შესაძლებელია მას დასჭირდეს დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლა.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი:

კომისიის წევრები: